# DEFENSE

## Cooperation

**Agreement between the**

**UNITED STATES OF AMERICA**

**and GEORGIA**

Signed at Tbilisi November 10, 2002

with

Annex

AUTHENTICATED
U.S. GOVERNMENT
INFORMATION
GPO

NOTE BY THE DEPARTMENT OF STATE

Pursuant to Public Law 89—497, approved July 8, 1966 (80 Stat. 271; 1 U.S.C. 113)—

“. . .the Treaties and Other International Acts Series issued under the authority of the Secretary of State shall be competent evidence . . . of the treaties, international agreements other than treaties, and proclamations by the President of such treaties and international agreements other than treaties, as the case may be, therein contained, in all the courts of law and equity and of maritime jurisdiction, and in all the tribunals and public offices of the United States, and of the several States, without any further proof or authentication thereof.”

## GEORGIA

## Defense: Cooperation

*Agreement signed at Tbilisi November 10, 2002;*
*Entered into force March 25, 2003.*
*With annex.*

# AGREEMENT BETWEEN

# THE GOVERNMENT OF THE UNITED STATES OF AMERICA

# AND

# THE GOVERNMENT OF GEORGIA

# ON

# DEFENSE COOPERATION

The Government of the United States of America and the Government of Georgia (hereinafter "the Parties"):

Desiring to conclude an agreement on the enhanced cooperation between the Government of the United States of America and the Government of Georgia that will support their cooperation and the fight against terrorism; and,

Affirming that such cooperation is based on full respect for the sovereignty of each Party and the purposes of the United Nations Charter; and,

Recognizing the desire of the Parties to share in the burden of supporting those U.S. forces that may be present in the territory of Georgia; and,

Recognizing to the extent that it does not conflict with this Agreement the application of the Agreement Among the States Parties to the North Atlantic Treaty and the other States Participating in the Partnership for Peace Regarding the Status of Their Forces done at Brussels on June 19, 1995 (PFP SOFA) to U.S. personnel participating in activities under this agreement; and,

Recognizing the need to enhance their common security, to contribute to international peace and stability, and to enhance closer cooperation in the areas of defense and security;

Have agreed as follows:

**Article I - Definitions**

For the purposes of this Agreement, the following terms are hereunder defined:

1. "United States military and civilian personnel" means members of all uniformed services and civilian personnel of the United States Government in Georgia in connection with activities under this Agreement.

2. "United States contractors" means non-Georgian companies and firms and their employees, other than nationals of Georgia, employed by the United States in Georgia in connection with activities under this Agreement.

3. "Executive Agents" means the Department of Defense of the Government of the United States of America and the Ministry of Defense of Georgia.

4. "Dependent" means the spouse or child of a United States military or civilian personnel, as well as their close relatives and family members who live with them and are dependent upon them financially, legally or for reasons of health.

**Article II - Use of Facilities and Areas**

The Government of the United States of America (hereinafter, "USG") is authorized access to and use of such facilities and areas in Georgia as may be mutually agreed. United States military and civilian personnel and United States contractors and vehicles, vessels, and aircraft operated by or for U.S. forces, may use these facilities and areas for training, transit, support and related activities, refueling of aircraft, temporary

maintenance of vehicles, vessels and aircraft, and accommodation of personnel, communications, staging of forces and material, and for such other purposes as the Parties may agree.

**Article III - Logistic Support**

1. On request by the USG and as feasible, Georgia shall provide to U.S. Forces in Georgia logistic support listed in Annex A as necessary to conduct the activities under this Agreement.

2. The USG will pay for reasonable costs associated with the provision of logistic support. Reasonable costs are rates or charges no less favorable than those available to the Georgian armed forces or government, excluding taxes, fees or similar charges.

3. Procedures for payment shall be established through Implementing Arrangements as mutually agreed by the Parties or their Executive Agents.

**Article IV - Respect for Law**

Without prejudice to the privileges and immunities provided in Article VI, United States military and civilian personnel have a duty to respect the laws and regulations of Georgia and shall have a duty not to interfere in the internal affairs of Georgia.

**Article V - Entry and Exit**

1. United States military and civilian personnel may enter and exit Georgia with military or other USG identification cards and with individual or collective movement orders. Passports and visas shall not be required.

2. United States contractors' employees shall not be required to have visas.

3. The Executive Agents will develop procedures to facilitate and ensure the implementation of these rights.

**Article VI - Status of United States Military and Civilian Personnel**

1. United States military and civilian personnel shall be accorded privileges and immunities equivalent to those provided to administrative and technical staff of the Embassy under the Vienna Convention on Diplomatic Relations concluded on April 18, 1961.

2. Georgia recognizes the particular importance of disciplinary control by U.S. military authorities over United States military and civilian personnel and, therefore, Georgia authorizes the USG to exercise exclusive criminal jurisdiction over such personnel.

3. The parties confirm that United States military and civilian personnel may not be surrendered to, or otherwise transferred to the custody of, an international tribunal, or any other entity or state without the express consent of the USG.

**Article VII - Bearing of Arms and Wearing of Uniforms**

1. United States military and civilian personnel, and other persons as agreed, may possess and carry arms in Georgia, as required by the performance of their duties or authorized by their orders.

2. United States military personnel may wear their uniforms while performing official duties in Georgia.

**Article VIII - Contracting**

1. As mutually agreed between appropriate authorities of the Parties, construction, alteration, and improvements may be made to facilities and areas used by U.S. forces and United States contractors pursuant to this Agreement.

2. In the event that U.S. forces award contracts for acquisition of articles and services, including construction, such contracts shall be awarded in accordance with U.S. laws and regulations. Acquisition of articles and services in Georgia by or on behalf of U.S. forces shall not be subject to any taxes, customs, duties or similar charges by Georgia or its instrumentalities.

**Article IX - Taxation**

1. Georgia shall exempt from taxation any income received from the United States or from sources outside Georgia by United States military and civilian personnel, and by United States contractors and contractors' employees, other than nationals of Georgia.

2. United States military and civilian personnel and United States contractors' employees, other than nationals of Georgia, shall not be liable to pay any tax or similar charges on the ownership, possession, use, or transfer amongst themselves, of their tangible, movable property imported into Georgia or acquired while in the territory of Georgia for personal use during the term of this Agreement.

**Article X - Importation and Exportation**

1. The U.S. forces and United States contractors may import into Georgia any equipment, supplies, material or services required for their operations in Georgia.

2. The U.S. forces, United States military and civilian personnel, and United States contractors and their employees (other that nationals of Georgia) and their dependents may import into Georgia personal effects and articles for the consumption by or use of such personnel. The U.S. forces or their agents will notify such personnel

of the date and place of delivery of their property in Georgia, and will provide an inventory of such property to appropriate Georgia authorities 14 days in advance of the delivery.

3. The importation and re-exportation of any articles brought into Georgia, in accordance with paragraphs (1) and (2) of this Article, shall not be subject to any license, other restrictions, customs duties or taxes.

4. The U.S. forces, United States military and civilian personnel, and United States contractors and their employees, other than nationals of Georgia, shall retain title to all removable property which they have imported into or acquired while in the territory of Georgia. Such property may be removed from Georgia or disposed of therein provided the disposition of such property in Georgia to persons or entities not entitled to exemption from applicable taxes and duties may be subject to payment of such taxes and duties by such persons or entities.

**Article XI - Claims**

The Parties waive any and all claims against each other, other than contractual claims, for damage to, loss or destruction of property owned by either Party, or death or injury to any military or civilian personnel of either Party, arising out of the conduct of activities under this Agreement in Georgia. Claims by third parties arising out of the acts or omissions of any United States military or civilian personnel will be processed in accordance with the PFP SOFA.

**Article XII - Movement of Aircraft and Vehicles**

1. Upon an initial request of the U.S. forces, aircraft, vessels and vehicles operated by or for U.S. forces may enter, exit, and move freely within the territory of Georgia.

2. The access and movement of such aircraft, vessels, and vehicles shall be free of landing and parking fees, pilotage, navigation and overflight charges, tolls, overland transit fees and similar charges. Such aircraft, vessels, and vehicles shall be free from inspection.

3. Georgia shall accept as valid, without a driving fee or test, driving licenses or permits issued by the appropriate USG authorities to United States military and civilian personnel and to United States contractors and their employees, other than nationals of Georgia.

**Article XIII - Security**

Georgia shall take all reasonable measures within its power to ensure the safety and security of United States military and civilian personnel and property in Georgia, as well as the protection of such property from seizure by or conversion to the use of any entity or Party other than the USG, without the prior consent of the USG. The U.S. forces are authorized to provide internal security of those facilities and areas assigned to their exclusive use.

**Article XIV - Utilities and Communications**

1. United States military and civilian personnel and contractors may use water, electricity, and other public utilities on terms and conditions, including rates or charges, no less favorable than those available to the Georgian Armed Forces or government, in like circumstances, unless otherwise agreed. The U.S. forces' costs will be equal to their pro rata share of the cost of such utilities.

2. The U.S. forces shall be allowed to operate their own telecommunication systems (as the term "telecommunication" is defined in the 1992 Constitution

of the International Telecommunication Union). This shall include the right to utilize such means and services as are required to ensure full ability to operate telecommunication systems, and the right to use, free of charge, all necessary radio spectrums for these purposes. The U.S. forces, in the interest of avoiding mutually disruptive interference, as well as to assist Georgia in fulfillment of its international obligations, will make every reasonable effort to coordinate the use of frequencies with the appropriate Georgia authorities. The U.S. forces will take into consideration Georgia laws and will consult with appropriate Georgia authorities on the operation of their own telecommunication systems.

**Article XV - Residual Value**

In the event that U.S. forces discontinue use of a facility, either directly or indirectly at the initiative of Georgia, Georgia shall compensate the USG for the residual value, if any, of any construction or improvements made by the USG to that facility, as authorized in Article VIII above.

**Article XVI - Implementing Agreements and Arrangements**

As appropriate, the Parties or their Executive Agents may enter into Implementing Agreements or Arrangements to carry out the provisions of this Agreement.

**Article XVII - Interpretation**

The provisions of this Agreement are intended to supplement the provisions of the PFP SOFA, which otherwise apply, and, in the event of any conflict, the provisions of this Agreement shall prevail. Nothing in this Agreement shall prejudice the rights or obligations of the Parties under the Agreement Between the United States and Georgia Concerning Cooperation in the Area of Weapons of Mass Destruction and the Promotion of Defense and Military Relations signed on July 17, 1997.

**Article XVIII - Disputes**

Any dispute regarding the interpretation or application of this Agreement will be resolved by consultation between the Parties, and will not be referred to any national or international tribunal or any third party for settlement.

**Article XIX - Concluding Provisions**

1. This Agreement, of which Annex A forms an integral part, shall enter into force upon the date that Georgia notifies the United States of America through diplomatic channels that all internal procedures as are necessary to give effect to this Agreement in Georgia have been satisfied, and shall have an initial term of one year. Thereafter, it shall continue in force unless terminated by either Party on 180 days written notice through diplomatic channels.

2. This Agreement shall be amended as mutually agreed in writing by the Parties. Such amendments shall enter into force in the same manner as described above in Paragraph 1 of this Article.

IN WITNESS WHEREOF, the undersigned, being duly authorized by their respective Governments, have signed this Agreement.

DONE on November 10, 2002, in Tbilisi, in duplicate, in the English and
Georgian languages, both texts being equally authentic. In cases of divergence in the English and Georgian languages, the English language will prevail.

| | |
|---|---|
| **FOR THE GOVERNMENT OF THE UNITED STATES OF AMERICA:** | **FOR THE GOVERNMENT OF GEORGIA:** |

**ANNEX A - Logistical Support**

For purposes of this Agreement, the following categories of logistic support are encompassed by Article III thereof:
Accommodations; Maintenance and repair services, including storage; Water, potable and non-potable, including distribution and storage; Food, perishable and non-perishable; Fuel, to include storage, distribution and quality control services; Land, sea and air transportation services; Utilities and services, including power and communications; Civilian labor requirements; Medical support and services; Air service for aircraft and cargo; and Other appropriate support as mutually agreed.

# შეთანხმება

# ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა

# და

# საქართველოს მთავრობას

# შორის

# თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის

# შესახებ

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა და საქართველოს მთავრობა (შემდგომში „მხარეები"):

სურთ რა დადონ შეთანხმება გაფართოებული თანამშრომლობის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის, რაც ხელს შეუწყობს მათ თანამშრომლობასა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას;

ადასტურებენ რა, რომ ასეთი თანამშრომლობა დამყარებულია თითოეული მხარის სუვერენიტეტის სრულ პატივისცემაზე და გაერთიანებული ერების წესდების პრინციპებზე; და,

აღიარებენ რა მხარეების სურვილს გაინაწილონ პასუხისმგებლობა აშშ-ს იმ შეიარაღებული ძალების უზრუნველყოფისათვის, რომლებიც შეიძლება იმყოფებოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე; და,

აღიარებენ რა, რომ წინამდებარე შეთანხმება არ ეწინააღმდეგება, რათა აშშ-ს პერსონალის მიმართ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ საქმიანობასთან მიმართებაში გამოყენებული იქნას 1995 წლის 19 ივნისს ბრიუსელში ხელმოწერილი შეთანხმება ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების წევრ სახელმწიფოებისა და "პარტნიორობა მშვიდობისთვის" პროგრამაში მონაწილე სხვა სახელმწიფოების შეიარაღებული ძალების სტატუსის შესახებ (PFP SOFA); და

აღიარებენ რა საერთო უსაფრთხოების განმტკიცების, საერთაშორისო მშვიდობასა და სტაბილურობაში წვლილის შეტანის, თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში მჭიდრო თანამშრომლობის გაღრმავების აუცილებლობას;

შეთანხმდნენ შემდეგზე:

## მუხლი I – განმარტებები

წინამდებარე შეთანხმების მიზნებისთვის, შემდეგი ტერმინები განისაზღვრება ისე, როგორც ქვემოთაა მოცემული:

1. „შეერთებული შტატების სამხედრო და სამოქალაქო პერსონალი" ნიშნავს შეერთებული შტატების მთავრობის ყველა სამსახურის პირადი შემადგენლობის წევრებს და სამოქალაქო პერსონალს საქართველოში, რომლებიც დაკავშირებული არიან წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ საქმიანობასთან.

2. „შეერთებული შტატების კონტრაქტორები" ნიშნავს არაქართულ კომპანიებსა და ფირმებს და მათ თანამშრომლებს, რომლებიც არ წარმოადგენენ საქართველოს მოქალაქეებს და დაქირავებული არიან შეერთებული შტატების მიერ საქართველოში წინამდებარე

ხელშეკრულებით განსაზღვრულ საქმიანობასთან დაკავშირებით.

3. „აღმასრულებელი აგენტები“ ნიშნავს შეერთებული შტატების თავდაცვის სახელმწიფო დეპარტამენტს და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს.

4. “კმაყოფაზე მყოფი პირი“ ნიშნავს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო და სამოქალაქო პერსონალის მეუღლეებსა და შვილებს, ასევე მათ ახლო ნათესავებსა და ოჯახის წევრებს, რომლებიც ცხოვრობენ პერსონალთან ერთად და იმყოფებიან მათ ფინანსურ და სამართლებრივ და სამედიცინო კმაყოფაზე.

**მუხლი II – შენობებითა და ტერიტორიით სარგებლობა**

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა (შემდგომში „აშშ-ს მთავრობა“) უფლებამოსილია დაიკავოს და ისარგებლოს იმ შენობებითა და ტერიტორიით საქართველოში, რომლებიც ურთიერთშეთანხმებული იქნება. ეს ნაგებობები და ტერიტორიები შეიძლება გამოყენებულ იქნას შეერთებული შტატების სამხედრო და სამოქალაქო პერსონალის და შეერთებული შტატების კონტრაქტორების, აშშ-ს ძალების მიერ მართული ან აშშ-ს ძალების სასარგებლოდ მოქმედი სატრანსპორტო საშუალებების, ხომალდებისა და საფრენის საშუალებების მიერ წვრთნის, ტრანზიტის უზრუნველყოფისა და სხვა დაკავშირებული საქმიანობისთვის, საფრენ საშუალებებში საწვავის ჩასასხმელად, სატრანსპორტო საშუალებების, ხომალდებისა და საფრენი საშუალებების დროებითი ექსპლუატაციისთვის და პერსონალის განსათავსებლად, კომუნიკაციებისთვის, ძალებისა და მასალების განსალაგებლად და სხვა ისეთი დანიშნულებებისთვის, რომლებზეც მხარეები შეთანხმდებიან.

**მუხლი III – ლოგისტიკური უზრუნველყოფა**

1. აშშ-ს მთავრობის მოთხოვნით, წინამდებარე შეთანხმებით განსაზღვრული საქმიანობის განსახორციელებლად შესაძლებლობების ფარგლებში, საქართველო გაუწევს საქართველოში განლაგებულ აშშ-ს შეიარაღებულ ძალებს ლოგისტიკურ მხარდაჭერას, რაც ჩამოთვლილია „A“ დანართში,.

2. აშშ-ს მთავრობა გადაიხდის სათანადო ანაზღაურებას ლოგისტიკური უზრუნველყოფისათვის. გონივრული ანაზღაურება წარმოადგენს ტარიფებს ან განაკვეთებს, რომლებიც არანაკლებ ხელსაყრელია საქართველოს შეიარაღებული ძალების ან მთავრობისათვის ხელმისაწვდომ ტარიფებსა და განაკვეთებზე, გადასახადებისა და ანალოგიური ხარჯების გამოკლებით.

3. გადახდის პროცედურა განსაზღვრულ იქნება მხარეების ან მათი აღმასრულებელი აგენტების მიერ ურთიერთშეთანხმებული განხორციელების სისტემით.

**მუხლი IV – კანონის პატივისცემა**

მიუხედავად VI მუხლით განსაზღვრული პრივილეგიებისა და იმუნიტეტისა შეერთებული შტატების სამხედრო და სამოქალაქო პერსონალი ვალდებულია პატივი სცეს საქართველოს კანონებს და დადგენილებებს და არ ჩაერიოს საქართველოს საშინაო საქმეებში.

**მუხლი V – შემოსვლა და გასვლა**

1. შეერთებული შტატების სამხედრო და სამოქალაქო პერსონალს შეუძლია შემოვიდეს საქართველოს ტერიტორიაზე და დატოვოს ის სამხედრო ან აშშ-ს მთავრობის მიერ გაცემული სხვა პირადობის

დამადასტურებელი მოწმობით და ინდივიდუალური ან კოლექტიური გადაადგილების ბრძანებით. პასპორტები და ვიზები მათ არ მოეთხოვებათ.

2. ამერიკის შეერთებული შტატების კონტრაქტორ მოსამსახურეებს ვიზები არ მოეთხოვებათ.

3. აღმასრულებელი აგენტები შეიმუშავებენ პროცედურებს, რათა უზრუნველყოფილ იქნას ზემოხსენებული უფლებებით სარგებლობა.

## მუხლი VI – შეერთებული შტატების სამხედრო და სამოქალაქო პერსონალის სტატუსი

1. შეერთებული შტატების სამხედრო და სამოქალაქო პერსონალს ენიჭება პრივილეგიები და იმუნიტეტი რომლებიც განსაზღვრულია საელჩოს ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალისთვის 1961 წლის 18 აპრილს ხელმოწერილი დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ ვენის კონვენციის თანახმად.

2. საქართველო აღიარებს შეერთებული შტატების სამხედრო და სამოქალაქო პერსონალზე აშშ-ს სამხედრო ხელისუფლების დისციპლინარული კონტროლის განსაკუთრებულ მნიშვნელობას და შესაბამისად აშშ-ს მთავრობას ანიჭებს უფლებამოსილებას განახორციელოს ექსკლუზიური სისხლის სამართლის მართლმსაჯულება აღნიშნული პერსონალის მიმართ.

3. მხარეები ადასტურებენ, რომ შეერთებული შტატების სამხედრო და სამოქალაქო პერსონალი არ შეიძლება ჩაბარებული იქნეს ან სხვაგვარად გადაეცეს პატიმრობაში საერთაშორისო ტრიბუნალს ან ნებისმიერ სხვა ორგანიზაციას ან სახელმწიფოს, აშშ-ს მთავრობის გამოხატული თანხმობის გარეშე.

## მუხლი VII – იარაღისა და სამხედრო ფორმის ტარება

1. შეერთებული შტატების სამხედრო და სამოქალაქო პერსონალს, ასევე
სხვა პირებს, შეთანხმების თანახმად, შეუძლიათ იქონიონ და ატარონ იარაღი საქართველოში, როგორც ამას მოითხოვს მათი სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულება ან როგორც ეს ნებადართულია მათთვის გაცემული ბრძანებით.

2. შეერთებული შტატების სამხედრო პერსონალს შეუძლია ატაროს სამხედრო ფორმა საქართველოში სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას.

## მუხლი VIII – კონტრაქტის დადება

1. მხარეების შესაბამისი სახელისუფლებო ორგანოების ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მშენებლობა, გადაკეთება და გაუმჯობესება შეიძლება მოხდეს იმ შენობებში და ტერიტორიებზე, რომლებიც აშშ-ს ძალებისა და შეერთებული შტატების კონტრაქტორთა სარგებლობაშია წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც აშშ-ს ძალები დებენ კონტრაქტს საქონლისა და მომსახურების, მათ შორის მშენებლობის, შეძენის თაობაზე, ასეთი კონტრაქტები იდება აშშ-ს კანონებისა და დადგენილებების თანახმად. საქონლისა და მომსახურების შეძენა საქართველოში აშშ-ს ძალების მიერ ან მათი სახელით არ ექვემდებარება არანაირ გადასახადს, ბაჟს, ბეგარას ან სხვა მსგავს მოსაკრებელს საქართველოს ან მისი აგენტების მხრიდან.

## მუხლი IX – დაბეგვრა

1. საქართველო ბეგარისაგან ათავისუფლებს ნებისმიერ შემოსავალს, რომელიც შეერთებული შტატების სამხედრო და სამოქალაქო პერსონალმა და შეერთებული შტატების კონტრაქტორებმა და კონტრაქტორების თანამშრომლებმა, გარდა საქართველოს მოქალაქეებისა, მიიღეს შეერთებული შტატებიდან ან საქართველოს ფარგლებს გარეთ სხვა წყაროებიდან.

2. შეერთებული შტატების სამხედრო და სამოქალაქო პერსონალი და შეერთებული შტატების კონტრაქტორების თანამშრომლები, რომლებიც არ არიან საქართველოს მოქალაქეები, არ იხდიან რაიმე გადასახადს ან მსგავს მოსაკრებელს საქართველოში იმპორტირებული ან საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნისას პირადი მოხმარებისათვის შეძენილი ან ურთიერთგადაცემული მატერიალური, მოძრავი ქონების წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედებისვადის განმავლობაში ფლობის, საკუთრების ან სარგებლობისათვის.

## მუხლი X – იმპორტი და ექსპორტი

1. აშშ-ს შეიარაღებულ ძალებსა და შეერთებული შტატების კონტრაქტორებს შეუძლიათ შემოიტანონ საქართველოში ნებისმიერი მოწყობილობა, ნაწილები, მასალა ან მომსახურება, რომელიც აუცილებელია მათი საქმიანობისათვის საქართველოში.

2. აშშ-ს შეიარაღებულ ძალებს, შეერთებული შტატების სამხედრო და სამოქალაქო პერსონალს და შეერთებული შტატების კონტრაქტორებს და მათ თანამშრომლებს (რომლებიც არ არიან საქართველოს მოქალაქეები), ასევე მათ კმაყოფაზე მყოფ პირებს შეუძლიათ შემოიტანონ საქართველოში პირადი საგნები და ნივთები აღნიშნული პერსონალის მიერ პირადი მოხმარებისათვის ან სარგებლობისათვის. ამერიკის

შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალები ან მათი სახელით მოქმედი პირები აცნობებენ ასეთ პერსონალს საქართველოში თავიანთი ქონების ჩამოტანის თარიღსა და ადგილს და წარუნდგენენ საქართველოს შესაბამის უწყებებს მათ ნუსხას ჩამოტანამდე 14 დღით ადრე.

3. საქართველოში შემოტანილი ნებისმიერი ნივთის იმპორტი და რეექსპორტი, ამ მუხლის (1) და (2) პუნქტის თანახმად, არ ექვემდებარება რაიმე ლიცენზირებას, სხვა შეზღუდვას, საბაჟო დაბეგვრას ან გადასახადს.

4. აშშ-ს შეიარაღებული ძალები, შეერთებული შტატების სამხედრო და სამოქალაქო პერსონალი, აშშ-ს კონტრაქტორები და მათი თანამშრომლები (რომლებიც არ არიან საქართველოს მოქალაქეები), ინარჩუნებენ საკუთრების უფლებას ყველანაირ მოძრავ ქონებაზე, რომელიც მათ შემოიტანეს ან შეიძინეს საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნისას. ასეთი საკუთრება შეიძლება გაიტანონ საქართველოდან ან გაასხვისონ იქ იმ პირობით, რომ იმ კერძო ან იურიდიულ პირებზე გასხვისებას, რომლებიც არ არიან გათავისუფლებული გადასახადებისა და საბაჟო გადახდისგან, შეიძლება მოჰყვეს ასეთი გადასახდების გადახდა ასეთი კერძო და იურიდიული პირების მიერ.

## მუხლი XI - პრეტენზიები

მხარეები უარს ამბობენ ნებისმიერ და ყველა პრეტენზიაზე ერთმანეთის მიმართ, გარდა საკონტრაქტო პრეტენზიებისა, რომელიმე მხარის საკუთრებაში მყოფი ქონების დაზიანებასთან, დაკარგვასთან ან განადგურებასთან დაკავშირებით, რომელიმე მხარის ნებისმიერი სამხედრო ან სამოქალაქო პერსონალის წევრის გარდაცვალების ან დაზიანებასთან დაკავშირებით, რაც შეიძლება მოჰყვეს წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას

საქართველოში. მესამე მხარის პრეტენზიები წამოჭრილი შეერთებული შტატების ნებისმიერი სამხედრო ან სამოქალაქო პერსონალის წარმომადგენლის ქმედების ან დაუდევრობის შედეგად, განიხილება ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების წევრ სახელმწიფოებსა და პროგრამაში "პარტნიორობა მშვიდობისათვის" მონაწილე სხვა სახელმწიფოებს შორის მათი შეიარაღებული ძალების სტატუსის შესახებ შეთანხმების (PFP SOFA) შესაბამისად.

**მუხლი XII – საფრენი საშუალებების და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება**

1. ამერიკის შეერთებული შტატების ძალების პირველივე მოთხოვნის საფუძველზე საფრენ საშუალებებს, ხომალდებს და სატრანსპორტო საშუალებებს, რომლებსაც მართავენ აშშ-ს შეიარაღებული ძალები ან რომლებიც მათთვის გამოიყენება, შეუძლიათ გადაკვეთონ და დატოვონ საქართველოს ტერიტორია და თავისუფლად გადაადგილდნენ მის ფარგლებში.

2. ასეთი საფრენი საშუალებების, ხომალდებისა და სატრანსპორტო საშუალებების შემოსვლა და გადაადგილება თავისუფლდება დაფრენისა და დგომის გადასახადისაგან, პილოტირების, სანავიგაციო და გადაფრენის გადასახადებისაგან, ბაჟისაგან, სახმელეთო ტრანზიტის გადასახდისაგან და მსგავსი მოსაკრებლისაგან. ასეთი საფრენი საშუალებები, ხომალდები და სატრანსპორტო საშუალებები თავისუფლდება ინსპექტირებისაგან.

3. საქართველო მოქმედად აღიარებს, მანქანის მართვაზე გადასახდისა ან გამოცდის გარეშე, აშშ-ს მთავრობის სათანადო ორგანოების მიერ შეერთებული შტატების სამხედრო და სამოქალაქო პერსონალზე და შეერთებული შტატების კონტრაქტორებზე და მათ თანამშრომლებზე

გაცემულ მართვის მოწმობებს ან ნებართვებს, თუმცა ეს არ ვრცელდება საქართველოს მოქალაქეებზე.

## მუხლი XIII – უსაფრთხოება

საქართველო მიიღებს ყველა სათანადო ზომას თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, რომ უზრუნველყოს შეერთებული შტატების სამხედრო და სამოქალაქო პერსონალის და საკუთრების ხელშეუხებლობა და უსაფრთხოება, აგრეთვე ასეთი ქონების დაცვა მიტაცებისა ან უკანონო მითვისებისგან სხვა ნებისმიერი პირის ან მხარის სასარგებლოდ, თუ ეს არ არის აშშ-ს მთავრობა, აშშ-ს მთავრობის წინასწარი თანხმობის გარეშე. აშშ-ს ძალები უფლებამოსილნი არიან უზრუნველყონ იმ შენობების და ტერიტორიების შიდა უსაფრთხოება, რომლებიც გადაცემულია მათ განსაკუთრებულ სარგებლობაში.

## მუხლი XIV – კომუნალური მომსახურება და კომუნიკაციები

1. შეერთებული შტატების სამხედრო და სამოქალაქო პერსონალს და კონტრაქტორებს შეუძლიათ ისარგებლონ წყლით, ელექტროენერგიით და კომუნალური მომსახურების სხვა საშუალებებით ისეთივე პირობებით, ტარიფისა ან გადასახადის ჩათვლით, რომლებიც არანაკლებ ხელსაყრელია, ვიდრე ის პირობები, რაც განსაზღვრულია საქართველოს შეიარაღებული ძალებისათვის ან მთავრობისათვის ანალოგიურ გარემოებებში, თუ არ არის სხვაგვარი შეთანხმება. აშშ-ს შეიარაღებული ძალების ხარჯები ამ კომუნალური მომსახურების ხარჯებში მათი პროპორციული წილის ტოლია.

2. აშშ-ს შეიარაღებულ ძალებს ეძლევათ ნებართვა ისარგებლონ საკუთარი სატელეკომუნიკაციო სისტემებით (როგორც ტერმინი "ტელეკომუნიკაცია" განსაზღვრულია 1992 წლის საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის კონსტიტუციაში). ამაში შედის ისეთი საშუალებებისა და მომსახურების გამოყენების უფლება, რომლებიც აუცილებელია სატელეკომუნიკაციო სისტემებით სარგებლობის სრული შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად, და ნებისმიერი რადიო სპექტრით უფასოდ სარგებლობის უფლება ამ მიზნებისათვის. აშშ-ს შეიარაღებული ძალები, ერთმანეთისათვის ხელის შეშლის თავიდან ასაცილებლად, ასევე საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებაში საქართველოს დახმარების მიზნით, მიმართავენ ყველანაირ სათანადო ზომას სიხშირეებით სარგებლობის კოორდინაციისათვის საქართველოს ხელისუფლების შესაბამის ორგანიზაციებთან. აშშ შეიარაღებული ძალები გაითვალისწინებენ საქართველოს კანონმდებლობას და მიმართავენ საქართველოს შესაბამის ხელმძღვანელობას კონსულტაციებისათვის თავიანთი ტელესაკომუნიკაციო სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით.

### მუხლი XV – ამორტიზაციის შემდეგ დარჩენილი ღირებულება

იმ შემთხვევაში, თუ აშშ-ს ძალები საქართველოს პირდაპირი ან არაპირდაპირი ინიციატივის შედეგად შეწყვეტენ შენობა-ნაგებობებით სარგებლობას, საქართველო აუნაზღაურებს აშშ-ს მთავრობას ამორტიზაციის შემდეგ დარჩენილ ღირებულებას, თუ ასეთი იქნება, ნებისმიერი მშენებლობის ან გაუმჯობესებისთვის, რაც აშშ-ს მთავრობამ განახორციელა ამ შენობაში, როგორც ეს ნებადართულია ზემოაღნიშნულ VIII მუხლში.

### მუხლი XVI – საიმპლემენტაციო შეთანხმებები და

ხელშეკრულებები

გარემოების მიხედვით, მხარეებს ან მათ აღმასრულებელ აგენტებს წინამდებარე შეთანხმების შესრულების მიზნით შეუძლიათ დადონ საიმპლემენტაციო შეთანხმებები და ხელშეკრულებები.

## მუხლი XVII – ინტერპრეტაცია

გათვალისწინებულია, რომ წინამდებარე შეთანხმების პირობები პასუხობს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების წევრ სახელმწიფოებსა და პროგრამაში "პარტნიორობა მშვიდობისათვის" მონაწილე სხვა სახელმწიფოებს შორის მათი შეიარაღებული ძალების სტატუსის შესახებ (PFP SOFA) შეთანხმების პირობებს; ნებისმიერი კონფლიქტის შემთხვევაში, წინამდებარე შეთანხმების პირობებს უპირატესობა ენიჭება. არაფერი წინამდებარე შეთანხმებაში არ აყენებს ეჭვქვეშ მხარეების უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც გათვალისწინებულია შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის მასობრივი განადგურების შეიარაღების სფეროში თანამშრომლობისა თავდაცვის და სამხედრო ურთიერთობების ხელშეწყობის შესახებ 1997 წლის 17 ივლისს ხელმოწერილი შეთანხმებით.

## მუხლი XVIII – დავები

ნებისმიერი დავა წინამდებარე შეთანხმების ინტერპრეტაციასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებით გადაწყდება მხარეებს შორის კონსულტაციის მეშვეობით და არ გადაეცემა რომელიმე ეროვნულ ან საერთაშორისო სასამართლოს ან რომელიმე მესამე მხარეს მოსაგვარებლად.

## მუხლი XIX – დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე შეთანხმება, რომლის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს “A“ დანართი, ძალაში შედის იმ დღიდან, როდესაც საქართველო შეატყობინებს აშშ-ს დიპლომატიური არხების მეშვეობით, რომ ყველა ის შიდასახელმწიფოებრივი პროცედურა, რომელიც აუცილებელია მოცემული შეთანხმების შესვლისათვის შესრულდა და ძალაშია ერთი წლის განმავლობაში. შემდგომში, იგი რჩება ძალაში, თუ რომელიმე მხარე 180 დღით ადრე დიპლომატიური არხების მეშვეობით წერილობითი შეტყობინებით არ განაცხადებს თავის განზრახვას შეწყვიტოს წინამდებარე შეთანხმება.

2. მხარეების წერილობითი თანხმობის საფუძველზე წინამდებარე შეთანხმება ექვემდებარება შესწორებას. ასეთი შესწორებები ძალაში შევლენ მოცემული მუხლის 1 პუნქტში აღწერილი პროცედურების მეშვეობით.

რის დასტურადაც, ქვემორე ხელის მომწერნი, შესაბამისი მთავრობების მიერ უფლებამოსილი პირები, ხელს აწერენ წინამდებარე შეთანხმებას.

შესრულებულია ქ. თბილისში, 2002 წლის 10 დეკემბერს, ორ ეგზემპლარად, ქართულ და ინგლისურ ენებზე, ორივე ტექსტი თანაბრად აუთენტურია. ქართული და ინგლისური ტექსტების შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ინგლისურ ტექსტს.

**ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სახელით:**



**საქართველოს მთავრობის სახელით:**



## დანართი A – ლოგისტიკური უზრუნველყოფა

წინამდებარე შეთანხმების მიზნებიდან გამომდინარე ლოგისტიკური უზრუნველყოფის შემდეგ კატეგორიებია გათვალისწინებული მუხლი III-ით:

განთავსება; ტექნიკური უზრუნველყოფა და სარემონტო მომსახურება, შენახვის ჩათვლით; წყალი სასმელი და ტექნიკური, განაწილებისა და შენახვის ჩათვლით; საკვები პროდუქტები, მალფუჭადი და არაფუჭებადი; საწვავი, შენახვის, განაწილებისა და ხარისხის კონტროლის მომსახურების ჩათვლით; სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტით მომსახურება; კომუნალური მომსახურება, ელექტროენერგიისა და კომუნიკაციების ჩათვლით; სამოქალაქო მუშა-ხელის მოთხოვნილებები; სამედიცინო უზრუნველყოფა და მომსახურება; საფრენი საშუალებებისა და ტვირთის საჰაერო მომსახურება; ასევე სხვა სათანადო უზრუნველყოფა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.